პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 166 (3143)

27 აგვისტო, შაბათი. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას უნდა ჰქონდეს ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი, იგი უნდა ემყარებოდეს ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, რომელიც თანმიმდევრულად მოიცავს მოსახლეობის ყველა ჯგუფს, ბავშვთა ასაკიდან მოყოლებული.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. სკკპ პროგრამაში, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში ფიზიკური კულტურა და სპორტი მიჩნეულია როგორც ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალება საბჭოთა ადამიანის აღზრდისა, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზიკური სრულყოფილობა. უკანასკნელი წლების მანძილზე ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში გარკვეული დადებითი შედეგებია მოპოვებული. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დონე ვერ აკმაყოფილებს გადიდებულ მოთხოვნებს, ხოლო ფიზკულტურულ მოძრაობას მთლიანად ვერ იყენებენ აღმზრდელობითს მუშაობაში, ბევრ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და დაწესებულებაში ფიზკულტურასა და სპორტს არა აქვს მასობრივი ხასიათი. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მასობრივ ფიზკულტურულ მუშაობას, მოსწავლეთა სპორტული ოსტატობის გაუმჯობესებას.

ანიჭებენ რა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ფიზიკურ კულტურას, როგორც ადამიანის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიულ კომიტეტებსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურ საბჭოს გააუმჯობესონ ფიზკულტურული მოძრაობის, როგორც მოსახლეობაში აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბნის ხელმძღვანელობა, განსაზღვრონ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ფიზიკური კულტურა გახდეს კიდევ უფრო აქტიური საშუალება საზოგადოების ზემოქმედებისა საბჭოთა ადამიანის მორალურ და სულიერ ჩამოყალიბებაზე, ხელს უწყობდეს მის ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას და მაღალნაყოფიერ შრომას, მრავალი წლის ჯანმრთელობას და შემოქმედებითს აქტივობას, სამშობლოს დასაცავად მომზადებას.

საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას უნდა ჰქონდეს ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი, იგი უნდა ემყარებოდეს ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, რომელიც თანმიმდევრულად მოიცავს მოსახლეობის ყველა ჯგუფს, ბავშვთა ასაკიდან მოყოლებული.

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, ფიზკულტურულ და სამეურნეო ორგანიზაციებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ თვითეულ საწარმოში, დაწესებულებაში დაინერგოს ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების, ავადმყოფობის პროფილაქტიკის, მუშა-მოსამსახურეთა აქტიური დასვენების პირობების შექმნის ღონისძიებათა განუყოფელი ნაწილი. ამ მიზნით, რეკომენდებულია მოეწყოს მშრომელთა სისტემატური მეცადინეობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, შეიქმნას საშუალო და უფროსი ასაკის პირთა ფიზკულტურული ჯგუფები; შემოღებულ იქნას საწარმოო ტანვარჯიში, მეტი ინიციატივა გამოიჩინონ სასპორტო და ტურისტული ბაზების, ტურისტული გამაჯანსაღებელი ბანაკების, მებადურისა და მონადირის სახლების შექმნაში.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ ტექნიკური სკოლა მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარების საფუძველი უნდა იყოს. სკოლის ამოცანაა შესძინოს მოსწავლეებს საჭირო ცოდნა და ფიზიკური კულტურის, მასობრივ სახეობათა სპორტის ჩვევები და ამ საფუძველზე უზრუნველყოს მოსწავლეთა ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება და მათი ჯანმრთელობის განმტკიცება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს წინადადება ეძლევათ 1967-1969 წლებში სოფლის ყველა რვაწლიან სკოლაში დააწესონ ფიზიკური კულტურის მასწავლებლის თანამდებობა, და, ფიზიკურ კულტურაში სასწავლო მეცადინეობის გარდა, დააკისრონ მას კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობა. გათვალისწინებულია აგრეთვე გადიდდეს 1967 წელს ასიგნობანი სპორტულ-მასობრივი მუშაობისათვის, სკოლაში სასპორტო ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენისათვის. ყველა ტიპის სკოლების ყველა კლასში წესდება ფიზიკური კულტურის ორი გაკვეთილი კვირაში.

სახალხო განათლების ორგანოებს ევალებათ გააფართოონ სკოლებსა და სასწავლებლებში კლასგარეშე სპორტულ-მასობრივი მუშაობა, ამასთან უშუალოდ დაუკავშირონ ეს მუშაობა ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესს; მოაწყონ მეცადინეობა ფიზიკურ კულტურაში მოსწავლეებთან, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს მიეკუთვნებიან; მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან ერთად ყოველწლიურად განიხილონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს წინადადება ეძლევათ შექმნან საჭირო პირობები, რათა სტუდენტებმა და მოსწავლეებმა რეგულარულად იმეცადინონ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში; არ შეამცირონ სასწავლო გეგმით ფიზიკური აღზრდისათვის გათვალისწინებული საათები; გააფართოონ სპორტში ფაკულტატური მეცადინეობის შესაძლებლობანი.

შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისათვის საჭირო სასპორტო ნაგებობათა ნუსხა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ორი-სამი წლის მანძილზე სკოლებთან და სასწავლებლებთან შეიქმნას სიბრტყითი სპორტული ბაზები და უბნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური აღზრდის პროგრამის შესრულებას.

რეკომენდებულია წავახალისოთ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა სტუდენტთა და მოსწავლეთა ძალებით საზოგადოებრივ საწყისებზე. გამოვუყოთ სასწავლებლებს საჭირო საშენი მასალები, მექანიზმები და ტრანსპორტი. უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებს ნება ეძლევათ მოახდინონ კოოპერირება და გამოიყენონ სამეურნეო ხელშეკრულებათა საწყისებზე შესრულებულ სამუშაოთა შემოსავლის სასწავლებელთა განკარგულებაში დარჩენილი სახსრები სასპორტო ნაგებობათა და გამაჯანსაღებელი სასპორტო ბანაკების შესაქმნელად და გასაფართოებლად. დადგენილია, რომ მშენებარე სასწავლებლები — ახალშენებანი საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მათთვის გათვალისწინებულ სასპორტო ნაგებობებთან ერთად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არსებულ სასპორტო ნაგებობათა უკეთ გამოყენებას. დღისით ნაგებობანი, მოწყობილობა და ინვენტარი უნდა დაეთმოთ სკოლებს, სასწავლებლებს, ტექნიკუმებს უფასოდ, უმაღლეს სასწავლებლებს კი შეღავათიან პირობებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილებისა და სპორტულ-მასობრივი მუშაობისათვის, ამასთან ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ ნაგებობებით სარგებლობენ, მონაწილეობა უნდა მიიღონ მათს მომსახურებაში. ნებადართულია ბავშვთა კოლექტივები უფასოდ დაესწრონ ცალკეულ სპორტულ შეჯიბრებებს.

განსაზღვრულია ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მწვრთნელთა და სხვა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი. 1967 წელს მოსკოვის ლენინის ორდენოსან ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალურ ინსტიტუტში გაიხსნება მწვრთნელთა და მასწავლებელთა კადრების დახელოვნების ფაკულტეტი, რომლის მუდმივი კონტინგენტი იქნება სამასამდე კაცი. მოკავშირე რესპუბლიკებში იქმნება საოლქო და საოლქთაშორისო მოკლევადიანი კურსები ფიზკულტურელთა კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მოკავშირე რესპუბლიკების განათლებისა და სახალხო განათლების სამინისტროებმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში უნდა შექმნან ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა.

საჭიროდ არის მიჩნეული სამეცნიერო დაწესებულებებმა მთელი ძალღონე მოახმარონ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობისა და სპორტული ოსტატობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი სოციოლოგიური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო-ბიოლოგიური და ორგანიზაციული პრობლემების შესწავლას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას რეკომენდაცია ეძლევათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული პრობლემების დამუშავებაში. ფიზიკური კულტურის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი გარდაიქმნება ფიზიკური კულტურის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად.

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ მეტი ყურადღება დაუთმონ მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას სოფლად, უზრუნველყონ ფიზიკური კულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და ორგანიზატორების მომზადება, განავითარონ სოფლის ახალგაზრდობისათვის ყველაზე ხელმისაწვდომ სახეობათა სპორტი, რეგულარულად მოაწყონ სპორტული შეჯიბრებანი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონულ ცენტრებში, ამასთან მჭიდროდ შეუხამონ ეს მუშაობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობას.

ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან გააფართოონ კომპლექსური სასპორტო მოედნების, სტადიონებისა და სხვა სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაიონულ ცენტრებში, პროფკავშირების, აღმასკომების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების ასიგნობათა გათვალისწინებით. სასოფლო კლუბები უნდა აშენდეს, როგორც წესი, ისე, რომ ჰქონდეთ სასპორტო დარბაზები და მოედნები.

სპორტულ ორგანიზაციებსა და უწყებებს დაევალათ განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მასობრივი სპორტის განსავითარებლად, სპორტსმენთა რეზერვების აღსაზრდელად: სპეციალიზებული საბავშვო და ახალგაზრდული სპორტული სკოლების შესაქმნელად. აგრეთვე, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების შესაქმნელად, მრავალმხრივ განათლებულ მწვრთნელთა კადრების მოსამზადებლად: გააძლიერონ მუშაკებისა და სპორტსმენებისადმი მომთხოვნელობა დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცა უფრო ფართოდ გამოიყენოს ფიზიკური კულტურა სამედიცინო დაწესებულებათა სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობაში; გააუმჯობესოს საექიმო კონტროლი იმათდამი, ვინც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს მისდევს; გაადიდოს საექიმო-ფიზკულტურული დაწესებულებების, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტების ქსელი პოლიკლინიკებთან; გააუმჯობესოს სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ექიმთა მომზადება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნით ფიზიკური კულტურის საშუალებათა გამოყენების საკითხებში.

ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა ამაღლდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი მასობრივი ფიზკულტურისა და გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარებაში მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, უწინარეს ყოვლისა, მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს დაევალათ განიხილონ არსებულ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობისა და გამოყენების საკითხები იმ მიზნით, რომ ისინი, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, გახდნენ თვითეული რაიონისა და მიკრორაიონის მასობრივი ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის ცენტრები; აგრეთვე განიხილონ იმ სახსრების გამოყენების მოწესრიგების საკითხი, რომლებიც ბინის ქირიდან გადაირიცხება კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობისათვის. რეკომენდებულია საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ცენტრალიზაცია მიკრორაიონის, რაიონის, ქალაქის ფარგლებში.

გათვალისწინებულია გაფართოვდეს სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, სასწავლებლების, კოლმეურნეობების, პროფკავშირული, ფიზკულტურული და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციების უფლებანი არსებული სასპორტო ნაგებობების კეთილმოწყობისა და აღჭურვის განხორციელებაში, აგრეთვე ახალი სასპორტო ნაგებობების მშენებლობაში არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მშენებლობისათვის. მათ შორის რამდენიმე დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის სახსრების გაერთიანების საფუძველზე.

სსრ კავშირის სახმშენს დაევალა საკავშირო პროფსაბჭოსთან, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურ საბჭოსთან და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შეადგინოს იმ სასპორტო ნაგებობათა ნუსხა, რომლებიც აუცილებლად უნდა აშენდეს ქალაქების კომპლექსური განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის და სამრეწველო საწარმოების მშენებლობის დროს, დაამტკიცოს სასპორტო ნაგებობათა ახალი ტიპური პროექტები. დადგინდა, რომ სასპორტო ნაგებობათა აღჭურვა და საექსპლოატაციოდ გადაცემა მიკრორაიონებსა და საცხოვრებელ მასივებში უნდა წარმოებდეს საცხოვრებელი სახლების მწყობრში ჩადგმასთან ერთად.

ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმისათვის საჭირო ნაკეთობის წარმოების განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების, სპორტული საქონლით ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც სპორტულ ინვენტარს აწარმოებენ, დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი სპორტული და ტურისტული ინვენტარის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მიჩნეულ იქნა, რომ საჭიროა შეიქმნას სპორტულ ნაკეთობათა წარმოების მთავარი სამმართველო — „მთავარსპორტმრეწვი" და სსრ კავშირის სპორტული და ტურისტული ნაწარმის საპროექტო-ტექნოლოგიური და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და „ცენტროსოიუზს" წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ სპორტული და ტურისტული საქონლის საბითუმო და საცალო ვაჭრობა; გააფართოონ სპეციალიზებულ მაღაზიათა ქსელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელება წარმოუდგენელია ისე, თუ ფართოდ არ განვითარდა ფიზკულტურელთა მასების თვითმოქმედება, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ინიციატივა. მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა სპორტულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული მუშაობა, ეფექტიანად არ იქნა გამოყენებული გამოყოფილი სახსრები და არსებული მატერიალური ბაზა.

## ჩვენი ცნობები

● **ნიუ-იორკი**, 25 აგვისტო. „ჩემპიონთა თასზე" ფეხბურთელთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ბრაზილიის „სანტოსმა" პირველობა გაინაღდა: მან დაამარცხა ათენის აეკ-ი — 1:0. ბურთი 30-ე წუთზე პელეს გადაცემით გაიტანა ტონინიომ. „სანტოსის" ღირსებას იცავდა მსოფლიოს ამასწინანდელი ჩემპიონატის 7 მონაწილე. ამ ტურნირში ჩასატარებელი დარჩა ერთი შეხვედრა: „ბენფიკა" (ლისაბონი) — აეკ-ი.

● **გეტებორგი**, 25 აგვისტო. ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო შეჯიბრება გამართეს შვეციელმა მძლეოსნებმა. სიმაღლეზე მხტომელთა ლიდერმა ჩ. ო. ნილსონმა დასძლია 209 სმ. ლ. ჰაგლუნდმა ბადრო ტყორცნა 58,84 მეტრზე. 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში ევროპის ერთ-ერთმა უძლიერესმა ათლეტმა ბ. პერსონმა წვიმიან ამინდში აჩვენა 8.41,0.

● **პოლიანიცა** (პოლონეთი), 25 აგვისტო. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 13 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი. ამ ტურში მან დაამარცხა პოლონელი ფილიპოვიჩი. სმისლოვს 9 ქულა აქვს. II ადგილზეა უნგრელი ლენდიელი — 8,5, ხოლო III — ლიბერტი (გდრ) — 8.

● **ბერლინი**, 25 აგვისტო. ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში ევროპის ჩემპიონატი 1969 წელს სსრ კავშირში გაიმართება. ასე გადაწყვიტა ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა, რომელიც აქ ჩატარდა. კონტინენტის მორიგ პირველობას ნიჩბოსნები გაისად გაითამაშებენ დასავლეთგერმანულ ქალაქ დუისბურგში, ხოლო 1970 წლის მსოფლიოს უძლიერესი მებაიდარეები და კანოისტები დანიაში გამოვლინდებიან.

● **მოსკოვი**, 25 აგვისტო. „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ფეხბურთელთა უჩვეულო მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვში მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილე მეცნიერები. სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდა ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის მათემატიკოსთაგან შემდგარი გუნდი, ე. ი. ფაქტიურად, მსოფლიოს ნაკრები. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა მეცნიერებმა — 5:2.

● **მოსკოვი**, 25 აგვისტო. სსრ კავშირში ასეთი საერთაშორისო მატჩი პირველად გაიმართა: ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქისა და ბერლინის მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ მოსკოველთა გუნდის კაპიტანმა ი. პრონინმა ანგარიში გახსნა. მალე ... სტუმრებმა საპასუხო გოლი ... ...

● **მოსკოვი**, 25 აგვ... წვია დედაქალაქის „დინამოს" ... გუნდების შემადგენლობებში ... ლები, სპორტის დამსახურებ... ა. მასლიონკინი, კ. კრიჟევსკ... ვი, ა. ილინი, ი. კუზნეცოვი, ... სნეს (ნ. პარშინი). შესვენებ... მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1, ...

● **ჟდანოვი**, 25 აგვ... დური პირველობა საზღვაო... ვაჟთა და იუნიორთა 12-1... დება მოიპოვა ე. კულიკო... წარმომადგენლებმა. იუნიო... გუნდური პირველობა უკრ...

## დაწინაურდა ა. შეროზია

„დინამოს" საფარიკაო დარბაზში დაიწყო ჭაბუკ ხუთჭიდელთა და სამჭიდელთა ასპარეზობა. შეჯიბრება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმითაც, რომ იგი ერთგვარად წინამორბედია საპასუხისმგებლო საკავშირო ღონისძიებებისა, მაგალითად, უმაღლესი დახელოვნების სპორტული სკოლებისა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლების პირველობისა. აქ ფინალში იასპარეზებენ ჩვენი რესპუბლიკის ხუთჭიდელებიც, რომლებმაც ამის უფლება სომხეთისა და აზერბაიჯანის ძლიერ კოლექტივებთან ბრძოლაში მოიპოვეს.

ფარიკაობაში 16 სპორტსმენი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. უკონკურსოდ გამოდიოდა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ხუთჭიდელი, სპორტის ოსტატი ა. კრავჩენკო. შესანიშნავად ფარიკაობდა სპორტის ოსტატი ა. შეროზია, რომელმაც 30-დან 22 შეხვედრა მოიგო და 1.037 ქულა მოაგროვა. 963 ქულით II ადგილზე გავიდა ტ. გოგოლაძე, ხოლო III — ო. აბესაძე (889). გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი I — 2.519 ქულა, 2. თბილისი II — 2.223, 3. ქუთაისი — 2.149.

სტარტისწინა ციებ-ცხელება მეტნაკლებად ყოველ სახეობაში შეჯიბრებისას იგრძნობა. მაგრამ ხუთჭიდელები მაინც ყველაზე მეტად ღელავენ პისტოლეტის სროლის წინ. ჯერ ერთი, მათ სჭირდებათ უაღრესი სიმშვიდე, რომ სულ სამ წამში მიზნის სწორად აღება და ზუსტი სროლა მოასწრონ. მეორეც, — ფარიკაობა დიდხანს გრძელდება და სპორტსმენი უკვე დაღლილია ამ ორთაბრძოლის შემდეგ. ალბათ სწორედ ამიტომ იყო, რომ ტ. გოგოლაძემ სროლაში 582 ქულა დააგროვა და VIII ადგილზე გავიდა, კიდევ ორ სახეობაში ბრძოლის შემდეგ კი VI ადგილზე გადაინაცვლა. ვერც ფარიკაობის ფავორიტმა ა. შეროზიამ იმარჯვა. 780 ქულით სროლაში მან IV ადგილი დაიკავა. ამ სახეობაში პირველი იყო ახალგაზრდა ხუთჭიდელი შ. ჩიკაშუა — 934 ქულა. II ადგილზეა ი. ჯარაშნელი, ხოლო III — ა. მაროტი.

ცურვაში კვლავ ა. შეროზიამ ისახელა თავი — დისტანცია 4 წუთსა და 2 წამში გაცურა და 952 ქულა დააგროვა. II-III ადგილებზე გავიდნენ ო. აბესაძე და ა. მაროტი.

დღესდღეობით შეჯიბრებას ლიდერობს ა. შეროზია — 2.769 ქულა. II ადგილზეა ო. აბესაძე — 2.467, III — ა. მაროტი — 2.421.

საინტერესოა სამჭიდელთა შეჯიბრებაც. ორ სახეობაში უკვე დამთავრდა ასპარეზობა. ჯერჯერობით ყველა ჩამოიტოვა ქუთაისელმა ა. კურდღელიამ. II ადგილზეა ი. კლიმენკო, ხოლო III — ი. მაროტი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ თბილისის II გუნდის სპორტსმენები.

**ლ. ადეიშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

სურათზე: შეჯიბრების ლიდერი ა. შეროზია ცურვაში ასპარეზობისას.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.



### გუშინ...

თბილისში დაიწყო „ა" კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობის I წრის დასკვნითი მატჩები. მონაწილენი დაყოფილი არიან ორ ჯგუფად — 8 გუნდი გამოდის თბილისში, ამდენივე — ფრუნზეში. თვითეულ ჯგუფში I-III ადგილებზე გასულნი „ა" კლასის I ჯგუფში გადასასვლელად ბრძოლას გააგრძელებენ სოჭში. გუნდების შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ (კიშინიოვი) — „დინამო" (ერევანი) 3:1, „კალევი" (ტალინი) — „ავანგარდი" (ლუგანსკი) 3:2, „ბურევესტნიკი" (მინსკი) — „დინამო" (ლენინგრადი) 3:0, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 3:1.

საქართველოს სპორტკავშირში

## ნესრიგის დამრღვევთ — სასჯელი

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გუშინწინ განიხილა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივის ზოგიერთი წევრის არასპორტული საქციელის საკითხი და შესაბამისი სასჯელი გამოუტანა მათ.

თბილისის „დინამოსა" და ირანის ნაკრების ამასწინანდელი საერთაშორისო მატჩის წინ თბილისელმა მოთამაშეებმა ნ. მაისურაძემ და კ. ასათიანმა არ შეასრულეს მწვრთნელის მითითება და დაარღვიეს დისციპლინა. ამის გამო ნ. მაისურაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია 1967 წლის სეზონის ბოლომდე.

კ. ასათიანს მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია 1967 წლის ბოლომდე და გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

გუნდის ხელმძღვანელობას წინადადება მიეცა გააძლიეროს კონტროლი ფეხბურთელთა მიმართ.

## „ა" კლასის საგზურებისთვის

**ხარკოვი**, 25 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „ბ" კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება. უაღრესად დაძაბული გამოდგა ბოლო დღის მატჩები. ეს მოსალოდნელიც იყო: I-II ადგილებზე გასული გუნდები ხომ „ა" კლასში გადადიოდნენ! ამიტომ იყო, რომ ლენინგრადის „ტრუდისა" და თბილისის „განთიადის" შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ლენინგრადელებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. მათ დაამარცხეს კიდეც მეტოქე (4:1) და „ა" კლასის საგზურიც გაინაღდეს.

საგზურის მეორე პრეტენდენტმა — ხარკოვის „დინამომაც" იმარჯვა, მოუგო გსვგ-ს — 6:4.

„განთიადმა" III ადგილი დაიკავა.

**კ. იოგანი.**

## ლიდერები

**ნოვოსიბირსკი**, 26 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის აქაურ ნახევარფინალში განვლო 8 ტურმა. შეჯიბრების სათავეშია თბილისელი ოსტატი ე. კაკაბაძე — 6,5 ქულა. შემდეგ არიან: საერთაშორისო ოსტატი ლ. ვოლპერტი — 6, საერთაშორისო ოსტატი ს. როოტარე და ოსტატი ა. მუსლიმოვა — 5,5-5,5.

**პეტროზავოდსკი**, 26 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის IV ტურში ნ. ჩიქოვანმა კარგად წარმართა ბრძოლა იდელჩიკთან, მაგრამ გამოცდილება არ ეყო გამარჯვების მისაღწევად და შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

ც. კობაიძე დამარცხდა ვართანიანთან. სამაგიეროდ, V ტურში იგი შესანიშნავად ეთამაშა საერთაშორისო ოსტატ გურფინკელს და გაიმარჯვა.

არჩაკოვა — ჩიქოვანის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

5 ტურის შემდეგ წინ არიან ტ. სკეგინა (4), კ. ზვორიკინა, მ. ვართანიანი (3,5-3,5), ც. კობაიძე, ლ. შადურა და გ. არჩაკოვა (3-3).

## „ღვთის შეწევნით"

გაგრის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეები კარგა ხანს იყვნენ გასაჭირში, — არც სპორტული დარბაზი ჰქონდათ და არც მოედნები. ნორჩები მაინც მუყაითად ვარჯიშობდნენ ფიზაღზრდის მასწავლებლის ა. ფილიშვილის ხელმძღვანელობით, გუნდები მუდამ მზად ჰყავდათ და რაიონულ შეჯიბრებებშიც წარმატებით გამოდიოდნენ. ამ სამი წლის წინათ კი სკოლას ახალი შენობა და სპორტული დარბაზი გადაეცა.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თავადაც კარგი თაოსნობა გამოიჩინეს — ფრენბურთის (2), კალათბურთისა და ბადმინტონის მოედნები, სიგრძესა და სიმაღლეზე სახტომი ორმოები მოაწყვეს და მაგიდის ჩოგბურთის 3 მაგიდა გამართეს.

იმატა წარმატებამ: კალათბურთელმა ვაჟებმა რაიონის ჩემპიონობა მოიპოვეს, მოჭიდავეები და მოცურავეები საპრიზო ადგილებზე გავიდნენ; მძლეოსანმა მ. მაირამიანმა უფრო შორს გაიწია — აფხაზეთის ჩემპიონი გახდა 800, 1500 და 3000 მეტრზე რბენაში. მას არც ს. ოსიკოვა ჩამორჩა. მერხელასელმა გოგონამ აფხაზეთის მოსწავლეთა შორის ყველას აჯობა ბირთვის კვრაში. სხვა სახეობებშიც ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი ჰყავდათ. სწორედ ამიტომაა, რომ განათლების განყოფილების სპორტსკოლის მოსწავლეთა თითქმის 40 პროცენტს მეოთხე სკოლელი ბავშვები შეადგენენ.

ცხადია, მოსწავლეთა ფიზკულტურულ კოლექტივს ყველა საფუძველი ჰქონდა შემდგომ-წინსვლასა და გამარჯვებებზე იმედიანად ეფიქრა, მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ვერ ვიტყვით, რომ სკოლის დირექტორს ი. კაციას არ ახარებდეს მოსწავლეთა კარგი სპორტული სახელი, მაგრამ მისმა მეტისმეტმა ზრუნვამ ბავშვები კარგა ხნით დატოვა, ასე ვთქვათ, თამაშგარე მდგომარეობაში.

— მე ვფიქრობ, ეს სპორტდარბაზი ვეღარ აკმაყოფილებს ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივის მოთხოვნებს. ეგეც არ იყოს, არც საკლასო ოთახები გვაქვს საკმარისი. ამიტომ, მოდით, ავაგოთ ახალი, უფრო ვრცელი დარბაზი, ეს კი საკლასო ოთახებად გადავაკეთოთ, — წამოაყენა წინადადება დირექტორმა.

სამასწავლებლოში ყველამ მოიწონა ხელმძღვანელის აზრი, გარდა ერთისა; ისევ ა. ფილიშვილმა გაბედა და მორიდებით ჰკითხა:

— ხომ არ აჯობებდა ჯერ სამაგიერო აგვეგო?

დირექტორმა მდუმარედ, მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ფიზაღზრდის ნაცად მასწავლებელს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ღვთის შეწევნით, ახალ დარბაზსაც ავაგებთ და საკლასო ოთახების რაოდენობაც გაიზრდება!

მაგრამ „ღვთის შეწევნით" საქმის მხოლოდ ნაწილი დაიწყო — სპორტდარბაზს ხელოსნები დაეპატრონენ. ამ ამბავმა მალე მიაღწია განათლების განყოფილების გამგის გ. კაჩკანიანისა და რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარის ნ. გვასალიას ყურამდე. შეფიქრიანდნენ, სთხოვეს, უბრძანეს — შეწყვიტეთ დარბაზის გადაკეთებაო, მაგრამ სკოლის დირექტორს პასუხი მზად ჰქონდა: „ღვთის შეწევნით" ახალ დარბაზსაც მალე ავაგებთო. ხანი გადიოდა. მალე 3 საკლასო ოთახი მზად იყო, ახალი სპორტდარბაზისა კი საძირკველიც არ ჩაუყრიათ.

შერცხვა დირექტორს, დაფადურდა და... მოახერხა უფრო დიდი სპორტდარბაზის აგების ნებართვა მიიღო. ნებართვა აქვთ, სამშენებლო მასალა კი დღემდე არსად ჩანს.

საცაა ახალი სასწავლო წელი დაიწყება. ეჭვი არ არის, გაგრელ მოსწავლეებს საკლასო ოთახებში, მერხებთან მსხდომთ მოუწევთ ფიზაღზრდის გაკვეთილების მოსმენა.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

გაგრა.

## რეკორდების წვიმა

წყალში მხტომელების, მოცურავეებისა და წყალბურთელთა ევროპული ჩემპიონატი უტრეხტში საფინიშო სწორზე გავიდა და ბრძოლებიც უფრო გამწვავდა. ახლა ყველა გაცურვა, ნახტომი, კომბინაცია უფრო შედეგიანია, რეკორდებიც გამრავლდა. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში ყველას აჯობა კ. მანდონომ (საფრანგეთი) — 4.48,2. II იყო ა. კოკი (ჰოლანდია) — 4.48,7, ხოლო III — თ. სოსნოვა (სსრ კავშირი) — 4.50,1. საშივე სპორტსმენმა თავი იმითაც გამოიჩინა, რომ ეროვნული რეკორდები დაამყარა.

ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით ვაჟთა ცურვაში კონტინენტის ჩემპიონი გახდა ფ. ვიგანდი (გდრ) — 4.11,1, რაც დ. შოლანდერის მსოფლიო რეკორდზე 0,4 წამით უკეთესია. ახალ ჩემპიონთან 2,1 წამით წააგო ს. ბელიცგეიმანმა, მაგრამ ვერცხლის მედალთან ყველას „მისწრო" და სსრ კავშირის ახალი რეკორდიც დაამყარა — 4.13,2.

ბელიც-გეიმანი კიდევ ერთი რეკორდის თანაავტორი გახდა. თავისუფალი სტილით 4×200 მეტრზე ესტაფეტაში მან ილიჩოვთან, პლეტნიოვთან და ნოვიკოვთან ერთად აჩვენა ევროპაში მანამდე ყველასათვის მიუღწეველი შედეგი — 8.00,2. ეს კი 6,6 წამით სჯობს კონტინენტის ძველ რეკორდს, რომელიც ფრანგებს ეკუთვნოდათ. ცხადია, „ოქროც" საბჭოთა კვარტეტს დარჩა.

საინტერესო იყო ქალთა კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მეტრზე. სსრ კავშირის ოთხეული (ნ. მიხაილოვა, გ. პროზუმენშჩიკოვა, ტ. დევიატოვა, ა. რუდენკო) ბოლო ეტაპამდე ღირსეულად ებრძოდა ჰოლანდიელებს, მაგრამ მაინც დამარცხდა. ჩვენი გუნდის დრო — 4.38,2 — სსრ კავშირის ახალი რეკორდია. ჩემპიონებმა — ჰოლანდიელებმა კი კონტინენტის რეკორდი დაამყარეს — 4.36,4.

200 მეტრი ბატერფლაით შესანიშნავად გაცურა ვ. კუზმინმა. თანაგუნდელ ა. სკვორცოვასა და ჰ. გრეფორთან (გდრ) ბრძოლაში მან ფინალში აჩვენა 2.10,2, რაც ევროპის ახალი რეკორდია. გერმანელი სპორტსმენი ვერცხლს დასჯერდა.

ვალში არც ჩვენი წყალში მხტომელები დარჩნენ. ტრამპლინიდან ვაჟთა შორის ბოლო სამ ფინალურ ნახტომამდე იტალიელი გ. კანიოტო ლიდერობდა, მაგრამ გადამწყვეტი ვარჯიშები ბრწყინვალედ შეასრულა მოსკოველმა სტუდენტმა მ. საფრონოვმა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა — 155,27 ქულა. ქალებისთვის დაწესებული მედალიც სსრ კავშირში გამოემგზავრება: ევროპის თასის მფლობელმა ნ. კუზნეცოვამ თავი ისახელა კოშკიდან ხტომაში — 100,93 ქულა.

წყალბურთში დაიწყო ნახევარფინალური შეხვედრები, სადაც წაუგებლად გავიდნენ სსრ კავშირის, გდრ-ის, იტალიისა და უნგრეთის გუნდები. ნახევარფინალის პირველივე ტური სენსაციით აღინიშნა: ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონმა — უნგრეთის ნაკრებმა წააგო იუგოსლავიელებთან — 2:3. სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო ფრგ-ის წყალბურთელებს — 4:2, იტალიის გუნდმა — რუმინელებს — 2:1, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა — ჰოლანდიელებს — 4:2.

მსაჯის საფინალო სასტვენამდე 1 წუთით ...ნაურა მასპინძლები — 2:1.

...ტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოი... ...პარტაკის" ვეტერან ფეხბურთელთა მატჩმა. ...ნენ წარსულში პოპულარული ფეხბურთე... ...ები ა. ხომიჩი, ნ. ტიშჩენკო, ვ. კესარევი, ... ნ. ტროფიმოვი, ხ. სალნიკოვი, კ. ბესკო... ...ვი და სხვ. ანგარიში სპარტაკელებმა გახ... საპასუხო ბურთი გაიტანა ი. კუზნეცოვმა.

...დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნ... ...ბიდში. ჩემპიონატში მონაწილეობდა ... ვაჟებში აბსოლუტური ჩემპიონის წო... ...დურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დოსააფ-ის ...უძლიერესი იყო ნ. მაკარენკო, ხოლო ...ბაბუკებს ხვდათ წილად.

...ᲒᲔᲑᲘ

# ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

რუსთავის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით ახლახან მოეწყო ათდღიანი ტურისტული ლაშქრობა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის საბრძოლო დიდების გზებზე. ჯგუფში, რომელსაც კომიტეტის მდივანი ჯ. მარგველაშვილი ხელმძღვანელობდა, 34 ენთუზიასტი შედიოდა. ტურისტებმა დალაშქრეს მრავალი მთა და მდინარე, მოიარეს ბევრი გარდასული ბრძოლის ველი, ნახეს დაღუპულ მებრძოლთა სადიდებლად აღმართული ობელისკები...

ეს სურათები (ზევიდან ქვევით) სწორედ ამ საინტერესო ღონისძიების რამდენიმე მომენტს ასახავენ:

● **მოლაშქრეებმა** ღამის გასათევად აქ ჩაიმუხლეს. მაგრამ რამდენიმე ერთხანს კიდევ დაადგება ჯაფა: დღეს ისინი არიან ჯგუფის მზარეულები.

● **ამ ტბასთან** მდებარე მთებში გერმანელ ფაშისტებს იარაღის საწყობები ჰქონდათ. უკან რომ დაიხიეს, დიდძალი იარაღი ტბაში ჩაყარეს, საწყობები კი ააფეთქეს.

● **„გმირების დიდება უკვდავია"** — ღაღადებს ხოლმე უღელტეხილის ძირას დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად კლდეზე მიკრული ბარელიეფი. იგი პიატიგორსკის მე-2 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა მიუძღვნეს გმირების ხსოვნას.

● **...ობელისკი** ხოლმე მთის წვერზე: „კავკასიის დამცველებს — დნეპროძერჟინსკის სტუდენტებისგან".

● **მარუხის** უღელტეხილამდე რომ მიხვიდე, ჯერ მყინვარი უნდა გადალახო, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე 20-30 მეტრის სიღრმის ნაპრალებს დაუღიათ ხახა... მოლაშქრეებს წინ მიუძღვის სახელგანთქმული მთამსვლელი ქალი მ. ტყავაძე.

● **ზედ უღელტეხილზე** კი დიდების ობელისკი აღმართულა. იგი 1963 წელს დადგეს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ახალგაზრდებმა. ობელისკზე წარწერაა: „ყინულოვანი ციხე-სიმაგრის გმირებს — 394-ე დივიზიის, 808-ე და 810-ე მსროლელთა პოლკების, 155-ე მსროლელთა განსაკუთრებული ბრიგადის მებრძოლებსა და მეთაურებს, რომელნიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში მკერდით იცავდნენ მარუხის უღელტეხილს ფაშისტი ოკუპანტებისაგან 1942-43 წლებში".

ფოტო და ტექსტი
**რ. გაბრიჭიძისა.**














## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

**ᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲜ-ᲯᲝᲠᲯᲝ** (იტალია), 25 აგვისტო. გრძელდება იუნიორ კალათბურთელთა ევროპული ჩემპიონატი. ტურნირში წარმატებით იბრძვის გასული პირველობის ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც ქვეჯგუფში მორიგი შეხვედრა მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 75:56 (33:31). ჩვენი ქვეყნის იუნიორები ჯგუფის ლიდერები არიან.

მეორე ჯგუფში ასევე დაუმარცხებლად იბრძვის იუგოსლავიის ჭაბუკთა ნაკრები. ლიდერმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია ტურნირის მასპინძლებს — იტალიელებს — 51:44 (21:27).

## ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

**ᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲜ-ᲯᲝᲠᲯᲝ**, 26 აგვისტო. საბჭოთა ჭაბუკი კალათბურთელების ნაკრები გავიდა ჩემპიონატის ნახევარფინალში. მან საუცხოო სტილში დაამარცხა ბულგარელი იუნიორები — 79:58 (37:23). განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნიკიტინმა და ბალაშოვმა. ჩეხოსლოვაკიელებმა დიდი გაჭირვებით სძლიეს ესპანელებს — 82:71 (მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 64:64). II ჯგუფში კვლავინდებურად ლიდერობენ იუგოსლავიელები, რომლებმაც დაამარცხეს საფრანგეთის იუნიორთა ნაკრები — 68:47.

## [illegible] საათი...

◆ **ᲑᲝᲜᲔᲕᲘᲚᲘ** (აშშ), 26 აგვისტო. იუტას შტატის ამ ქალაქის მახლობლად მდებარე გამშრალი მლაშე ტბის ფსკერი სისწრაფეში თითქმის ყველა მსოფლიო რეკორდის „საბადოა". მორიგი რეკორდი მოტოციკლით დამყარდა: ამერიკელმა რობერტ ლეპენმა თავისი „ორთვლიანი კომეტით" საათში 395,302 კმ სისწრაფით ჩაიქროლა. ძველი რეკორდი ერთბაშად თითქმის 25 კილომეტრითაა გაუმჯობესებული. ლეპენის მოტოციკლი სპეციალური კონსტრუქციისაა და აქვს 120-ცხენისძალიანი ძრავი.

◆ **ვანკუვერი**, 26 აგვისტო. აშშ-ის მოცურავეთა ამას წინათ დამთავრებული ღია ჩემპიონატის მონაწილეები ამჯერად ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის დედაქალაქის ცენტრალურ აუზში ცდიან ძალას. 18 წლის კალიფორნიელმა სტუდენტმა ქალმა ს. ჯონსმა 110-იარდიან დისტანციაზე ბრასის სტილით ცურვაში აჩვენა 1.18,3 და 0,9 წამით გააუმჯობესა კ. ბაუერის (გდრ) მსოფლიო რეკორდი. მეორე მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა 13 წლის მოსწავლე გოგონა, სამხრეთაფრიკელი კ. მიუირი. 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში მან აჩვენა 2.28,2. იაპონელ ს. ტანაკას მსოფლიო მიღწევა 0,3 წამით გაუმჯობესდა. ზ. ზორნმა (აშშ) 110 იარდი თავისუფალი სტილით გაცურა 53,6 წამში და ევროპის ახალი ჩემპიონის, ცურვის ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდსმენის ფ. ვიგანდის დროზე (გდრ) უკეთესი შედეგი მოიპოვა.

◆ **ᲕᲐᲠᲑᲔᲠᲒᲘ** (შვეცია), 26 აგვისტო. ევროპის აფროსანთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში გაიმართა „ვარსკვლავისებური" კლასის ნავების პირველი რბოლა. მართალია, ჩემპიონატი ევროპულია, მაგრამ მასში სხვა ქვეყნების აფროსნებიც მონაწილეობენ. პირველი რბოლის შემდეგ დაწინაურდა ამერიკელი შუმეიკერი (ნავი „დინგო"). რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, საბჭოთა სპორტსმენი პინეგინი თავისი „ტაიფუნით" ჯერჯერობით მეცამეტეა.

## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

«Ა» ᲙᲚᲐᲡᲘ II ᲯᲒᲣᲤᲘ 1966

### ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 27 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (ვილნიუსი) | 23 | 13 | 5 | 5 | 38—20 | 31 |
| „ᲙᲣᲑᲐᲜᲘ" (კრასნოდარი) | 22 | 9 | 9 | 4 | 25—12 | 27 |
| „ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲚᲨᲩᲘᲙᲘ" (ივანოვო) | 22 | 8 | 11 | 3 | 27—17 | 27 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (კიროვაბადი) | 23 | 8 | 11 | 4 | 21—12 | 27 |
| „ᲠᲣᲑᲘᲜᲘ" (ყაზანი) | 23 | 10 | 6 | 6 | 22—17 | 26 |
| „ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲐ" (რიგა) | 23 | 9 | 6 | 8 | 35—25 | 24 |
| „ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ" (ვოლგოგრადი) | 22 | 9 | 5 | 8 | 26—25 | 23 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (სტავროპოლი) | 23 | 8 | 7 | 8 | 19—19 | 23 |
| „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ" (თბილისი) | 23 | 7 | 9 | 7 | 23—30 | 23 |
| „ᲗᲔᲠᲒᲘ" (გროზნო) | 23 | 7 | 9 | 7 | 17—22 | 23 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ნალჩიკი) | 23 | 7 | 8 | 8 | 18—24 | 22 |
| „ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲐ" (კალინინგრადი) | 23 | 6 | 9 | 8 | 17—23 | 21 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ბათუმი) | 22 | 7 | 6 | 9 | 25—29 | 20 |
| „ᲠᲝᲡᲢᲡᲔᲚᲛᲐᲨᲘ" (როსტოვი) | 23 | 5 | 10 | 8 | 22—29 | 20 |
| „ᲨᲘᲠᲐᲙᲘ" (ლენინაკანი) | 23 | 5 | 7 | 11 | 20—32 | 17 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (გომელი) | 23 | 4 | 9 | 9 | 9—21 | 17 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ტალინი) | 22 | 4 | 5 | 13 | 16—28 | 13 |

## ᲓᲐᲠᲩᲐ ᲝᲠᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘ

**ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ**, 25 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გაიმართა ნახევარფინალური მატჩები „ტყავის ბურთის" პრიზზე. კამენსკ-ურალსკის „ზარიამ" დაამარცხა კიროვაბადის „გიოკ-გიოლი" — 3:0.

დრამატულად წარიმართა ერევნის „ანისა" და თბილისის „დელისის" ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრა. გამარჯვებული გამოავლინა ხუთ-ხუთმა 8-მეტრიანმა დარტყმამ. აქ იმარჯვეს ერევნელებმა, რომლებმაც ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. საპატიო პრიზისთვის გადამწყვეტ მატჩში ისინი შეხვდებიან კამენსკ-ურალსკის „ზარიას".

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

### ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ** გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების 2 მერვედფინალური შეხვედრა.

**იაროსლავლში** თამაშობდნენ ადგილობრივი „შინიკი" და ლენინგრადის „დინამო". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0. ბურთები გაიტანეს ბისტროვმა (2) და მალცევმა. აღსანიშნავია, რომ სათასო მატჩებში ეს იაროსლავლის ფეხბურთელთა მეოთხე გამარჯვებაა.

**ოდესის** „ჩერნომორეცმა" შინ მიიღო ტაშკენტის „პახტაკორი". მასპინძლებმა დიდი აღმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს — 2:0. ბურთები გაიტანეს ლობანოვსკიმ და კორშუნოვმა.

**ᲒᲣᲨᲘᲜ** გაიმართა კიდევ 4 მატჩი.

**მოსკოვის** „ტორპედომ" მოუგო ვოლგოგრადის „ტრაქტორს" — 3:1.

**ალმა-ათაში** „კაირატმა" დაამარცხა კიროვაბადის „დინამო"— 2:1.

**მინსკში** ადგილობრივი და მოსკოვის დინამოელების შეხვედრის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 1:1. დამატებით დროში მასპინძლებმა გაიტანეს გადამწყვეტი გოლი და გაიმარჯვეს — 2:1.

**კიევში** ადგილობრივმა „დინამომ" მოუგო ლენინგრადის „ზენიტს" — 3:0.

«Ბ» ᲙᲚᲐᲡᲘ IV ᲖᲝᲜᲐ

სსრ კავშირის პირველობაზე „ბ" კლასის IV ზონის გუნდების მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „არაქსი" (ერევანი) — „დინამო" (სოხუმი) 0:2, „ლორი" (კიროვაკანი) — „ენგური" (ზუგდიდი) 1:0, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „კოლხიდა" (ფოთი) 4:2, „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1, „დინამო" (მახაჩყალა) — „ტეროკი" (დერბენტი) 1:1, „ლერნაგორცი" (კაფანი) — „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) 2:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასპარეზზე ახალგაზრდები

დღეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში სტარტს აიღებს ახალგაზრდა თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირის წინ ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს ო. ჩუვილინს.

● თუ შეიძლება, გვიამბეთ მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატების ისტორია.

— ამ ასპარეზობას დღესდღეობით ისტორია თითქმის არცა აქვს. მსოფლიო ახალგაზრდული პირველობა მხოლოდ ერთხელ, შარშან გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ჰალეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატს მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მათ დიდი ცდა და მონდომება დახარჯეს იმის „დასამტკიცებლად", რომ თანამედროვე ხუთჭიდი ახალგაზრდებს შორის პოპულარული არ არის. ბოლოს მაინც გაიმარჯვა ჯანსაღმა აზრმა და რწმენამ, რომ ჩვენი ძველი, მაგრამ მარად ახალგაზრდა სახეობა დღესაც საჭიროა. და აი, შარშან პირველ სტარტზე 12 ქვეყნის ხუთჭიდელები ცდიდნენ ძალას. წლევანდელ ტურნირში კიდევ უფრო მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

● ვინ გაიმარჯვა I ჩემპიონატში და როგორ გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები?

— I ჩემპიონატი ჩვენი მეგობრების, უნგრელი ხუთჭიდელების ტრიუმფით დამთავრდა. მათ დიდი განსხვავებით გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში, ხოლო პირად ტურნირში ოქროს მედალი და მსოფლიო ჩემპიონის სახელი ნიჭიერმა სპორტსმენმა ი. ბოდარმა მოიპოვა.

რაც შეეხება ჩვენს ბიჭებს, მათ, სამწუხაროდ, ძალიან უმტყუნა ბედმა და მხოლოდ V ადგილს დასჯერდნენ. საბჭოთა გუნდს ცხენოსნურ კროსში მოეცარა ხელი: შეჯიბრების ერთმა მონაწილემ დისტანციიდან 0 ქულა „მოიტანა", დანარჩენმა ორმა კი 1.200 ქულა „დაიმსახურა".

● გაკეთდა თუ არა რაიმე დასკვნა ამ წარუმატებლობის შემდეგ?

— რა თქმა უნდა. თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციამ გულდასმით შეისწავლა ასპარეზობის შედეგები. მარცხის მთავარ მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენ არ გვქონდა გეგმაზომიერი, ზუსტად განსაზღვრული მომზადების სისტემა. ბუნებრივია, მიმდინარე სეზონში ყველაფერი ეს გავითვალისწინეთ. ახალგაზრდა საბჭოთა ხუთჭიდელებმა მონაწილეობა მიიღეს მრავალ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, იყვნენ უნგრეთსა და გდრ-ში, მასპინძლობდნენ მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებს ერევანში, სადაც ძალიან საინტერესო ტურნირი გაიმართა. მათთვის კარგი სკოლა იყო უძლიერეს ხუთჭიდელთა სამატჩო შეხვედრები და, ბოლოს, სსრ კავშირის ახალგაზრდული პირველობა.

● გთხოვთ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ საბჭოთა გუნდის წევრების შესახებ, მათზე, ვინც ბრატისლავაში გამოვა.

— სიამოვნებით. სხვათა შორის, გუნდში სულ ოთხი სპორტსმენი შედის და სამს ვლადიმერი ჰქვია. სწორედ მათგან დავიწყებ. წლეულს ყველაზე სტაბილურად მოსკოველი ხუთჭიდელი ვ. პარამონოვი (ცსკა) გამოდიოდა. მან მოიგო შეიარაღებული ძალების პირველობა, მოსკოვის ჩემპიონატი (ამ ტურნირებში მოზრდილებიც მონაწილეობდნენ). კარგად გამოვიდა სხვა მრავალ შეხვედრაშიც. ვლადიმერი შესანიშნავი მხედარია, ამხანაგებში საუკეთესო მოცურავედ ითვლება, კარგი მოფარიკავეა. ადრე ცოტა მოიკოჭლებდა სროლაში, მაგრამ ახლა ამ სახეობაშიც საგრძნობლად გააუმჯობესა შედეგები მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ტანისა არ არის (165 სმ), ვფიქრობ, იგი ბრატისლავაში გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტია.

ლუგანსკელი ვლადიმერ დრიუკოვი 20 წლისაა. ამ ერთი თვის წინათ მან ყველას აჯობა ახალგაზრდულ შეჯიბრებაში, რომელიც გდრ-ში გაიმართა. იქ დღევანდელი ჩემპიონატის მონაწილე მრავალი სპორტსმენი გამოდიოდა. დრიუკოვის ძალა, პირველ ყოვლისა, მძლეოსნურ კროსშია. ამ სახეობაში მას ტოლი არა ჰყავს საბჭოთა ხუთჭიდელებს შორის.

მესამე, — მოსკოვის დინამოელი, 21 წლის ვლადიმერ ვერინჩუკია. უნდა გითხრათ, მას ერთი სერიოზული ნაკლი აქვს: საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით გამოდის, საზღვარგარეთ კი ველარ იცნობთ, მაგრამ, ვფიქრობ, ვერინჩუკი დაძლევს ამ ფსიქოლოგიურ დაბრკოლებას და თავის კარგ შესაძლებლობებს დაამტკიცებს.

ნაკრების მეოთხე წევრია ს. ლუკიანენკო (ცსკა), რომელსაც დიდი პოტენციური უნარი აქვს. იგი 20 წლისაა, შესაშური ფიზიკური მონაცემებით ხასიათდება და თანაბრად კარგად გამოდის პროგრამის ყველა სახეობაში, თუმცა ცხენოსნურ კროსში ოდნავ მოისუსტებს. ვიმეორებ, პერსპექტიული ახალგაზრდა ათლეტისგან ბევრს მოველით.

აი, ჩვენი მებრძოლი ოთხეული. ხელმძღვანელობს მას მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ი. ნოვიკოვი.

● რამდენიმე სიტყვა გვითხარით საბჭოთა ხუთჭიდელების მთავარ მეტოქეებზეც.

— უმწვავესი ბრძოლა ძირითადად უნგრეთის, გდრ-ისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის გაჩაღდება.

პირად ჩათვლაში გამარჯვების შანსი აქვს სამივე უნგრელს — ბაკოს, კელემენსა და იაკაბას, გდრ-ის წარმომადგენლებს — გრაბერსა და გრიონკარნს და, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუთჭიდელებს. გამორიცხული არ არის, რომ პირველობისთვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ახალგაზრდა სპორტსმენებიც ჩაებმებიან.

## ახალი „ვარსკვლავი" ბრაზილიიდან

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის ახალი ციკლის შესაბამისად, ბუენოს-აირესში (არგენტინა) მოეწყო სამხრეთ ამერიკის ზონალური ტურნირი. 1967 წლის საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებისთვის 18 მოჭადრაკე იბრძოდა.

I–IV ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ო. პანომ, საერთაშორისო ოსტატებმა ხ. ბოლბოჩანმა, ა. ფოგელმანმა და... ბრაზილიელმა ჭაბუკმა, 14 წლის ენრიკო მეკინგმა — 12,5-12,5 ქულა. დებულებით, საზონათშორისო ტურნირში ამ შეჯიბრებიდან მხოლოდ 3 კაცი დაიშვება, ამიტომ მომავალი წლის იანვარში გაიმართება ოთხთა მატჩ-ტურნირი მათ გამოსავლინებლად.

ე. მეკინგის წარმატებასთან დაკავშირებით გაზეთი „იზვესტია" წერს: „ბრაზილიაში მოჭადრაკეთა ოსტატობამ ჯერ ვერ მიაღწია ფეხბურთის დონეს, მაგრამ თუ კი ბრაზილიის ჭადრაკის ვარსკვლავები 14 წლის ასაკში დაიწყებენ კაშკაშს, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში გამოჩნდეს ბრაზილიის საჭადრაკო პელე. ხომ შეიძლება იგი მეკინგი იყოს?".

## მეშვიდედან მეხუთეზე...

**კიოლნი, 26 აგვისტო.** გუშინ აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში, რომელშიც მონაწილეობს ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა — 35.

პირველ დღეს ველოსიპედისტები 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ასპარეზობდნენ. ბრწყინვალედ გაიარეს ტრასა დანიის ველოსიპედისტებმა: მათ მოიპოვეს ოქროს მედლები. გამარჯვებულის დრო 2:09.03,0. მომდევნო სამ ადგილზე გავიდნენ ჰოლანდიის (2:09.27,0), იტალიისა (2:10.07,0) და საფრანგეთის (2:10.12,0) გუნდები.

სსრ კავშირის ნაკრები (ა. დოხლიაკოვი, ვ. ჩერევკო, პ. იიფერტი, ვ. ყურბაიოვიჩი) ფინიშთან V იყო — 2:11.07,0. აღსანიშნავია, რომ შარშანდელ ჩემპიონატში ჩვენმა გუნდმა მხოლოდ VII ადგილი დაიკავა.

### ფეხბურთი

## ჩემპიონი დამარცხდა

ინგლისის ჩემპიონატის მეორე ტურში სენსაცია იყო I ლიგის დებიუტანტის „მანჩესტერსიტის" გამარჯვება ინგლისის ჩემპიონ „ლივერპულთან" — 2:1. პრესის აზრით, მანჩესტერელებმა ოსტატური ფეხბურთი აჩვენეს.

ლონდონის „ჩელსის" 19 წლის თავდამსხმელმა პ. ოზგუდმა, რომელსაც ბრიტანელი მიმომხილველები „ამომავალ ვარსკვლავად" თვლიან, 2 თავური დარტყმით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა „ნოტინჰემ ფორესტთან" მატჩში — 2:1.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ლიდს იუნაიტედი" — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" 2:1, „სტოკ-სიტი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 2:0, „სანდერლენდი" — „საუთჰემპტონი" 2:0, „ევერტონი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 1:2, „ბერნლი" — „ფულჰემი" 3:0, „არსენალი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 2:1, „შეფილდ იუნაიტედი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 0:1.

(საქ. ინფ.).



## „ვაშაში" ლიდერობს

განახლდა უნგრეთის პირველობა. XIV ტურში ჩემპიონმა — ბუდაპეშტის „ვაშაშმა" დაამარცხა „დოროგი" (ბანიაში) — 4:1 და დაიბრუნა ლიდერობა.

აი, ლიდერთა ხუთეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ვაშაში" | 14 | 33:16 | 23 |
| „ჰონვედი" | 14 | 26:15 | 21 |
| „ფერენცვაროში" | 14 | 35:15 | 20 |
| „ტატაბანია" | 14 | 25:9 | 17 |
| „უიპეშტ დოჟა" | 14 | 35:21 | 16 |

## ბრძოლა თასებისთვის

ორშაბათს ჩატარდა ბაზრობათა თასის გათამაშების პირველი მატჩი: ოსლოში ადგილობრივმა „ფკ ფრეგმა" წააგო შოტლანდიის „დანფერმლაინ ატლეტიკთან" — 1:3.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩებში შემდეგი შედეგები აღინიშნა: „რაპიდი" (ვენა) — „გალათასარაი" (სტამბოლი) 4:0, „ლოკომოტივი" (ლაიპციგი) — „იურგორდენი" (სტოკჰოლმი) 3:1.

(საქ. ინფ.).

## „ინტერი" ემზადება

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელმა მილანის „ინტერნაციონალემ", რომელიც თასის ახალი გათამაშების პირველსავე ტურში მოსკოვის „ტორპედოს" უნდა შეხვდეს, გასულ კვირას ინტენსიური წვრთნა დაიწყო. „ტორპედოსთან" შეხვედრამდე „ინტერი" იტალიის ჩემპიონატში, რომელიც 18 სექტემბერს დაიწყება, მხოლოდ ერთი თამაშის ჩატარებას მოასწრებს.

როგორც ცნობილია, ის გუნდი დატოვეს ესპანელმა პეირომ, ბრაზილიელმა ჟაირმა და მალატრაზიმ. სამაგიეროდ, ე. ერერამ შეიძინა იტალიის შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი, 34 წლის ბრაზილიელი ვინიჩიო. ე. ერერამ ჟურნალისტებს განუცხადა: „პირველი შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსთან" ჩემი გუნდისგან მთელი ძალების მობილიზებას მოითხოვს". მისი აზრით, იტალიის ჩემპიონი გახდება „მილანი", „ინტერი", „იუვენტუსი", „ბოლონია" ან „ნაპოლი".

რამდენიმე დღის წინ ე. ერერას გუნდმა პირველი საწვრთნელი მატჩი გამართა. ერთმანეთს შეხვდნენ გუნდის მცველები და თავდამსხმელები. გაიმარჯვეს მცველებმა — 2:1.

(საქ. ინფ.).

## კოვაჩევიჩის მიდის

ბელგრადის „პარტიზანის" ცნობილმა თავდამსხმელმა ვ. კოვაჩევიჩმა ხელი მოაწერა ოთხწლიან კონტრაქტს საფრანგეთის ჩემპიონ „ნანტთან". კოვაჩევიჩმა განაცხადა, რომ მისთვის სასიხარულოა თამაში ისეთ ფორვარდებთან, როგორიც არიან „ნანტის" თავდამსხმელები — ბლანშე, გონდე და სიმონი.

იუგოსლავიის სპორტული პრესა გულისტკივილით აღნიშნავს კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელის გამგზავრებას უცხოეთში.

ოჰაიოს შტატის ქალაქ როსბურგში გამართული ავტორბოლის დროს ხიფათი შეემთხვა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს ჯონ რეზერფორდს. მისი მანქანა, რომელიც დიდი სისწრაფით მიჰქროდა, ერთ-ერთ მოსახვევში ამოყირავდა და... გაფრინდა. მიუხედავად ასეთი გაუთვალისწინებელი ტრიუკისა, ჯ. რეზერფორდი უვნებლად გადარჩა. იგი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული, — წერდნენ მეორე დღეს გაზეთები.

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**საწყლოსნო - სამოტორო სპორტი.** თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგური. 27-31 აგვისტო. დოსააფ-ის საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. შეჯიბრების დახურვის დღეს შედგება შეძენილი ფასიანი ბილეთების მომგებიანი ტირაჟი. ტირაჟში გათამაშდება ტელევიზორი „რეკორდი", მოტოციკლი „იავა", მაცივარი, რადიომიმღები „როდინა", ველოსიპედები, მაგიდისა და მაჯის საათები, ფოტოაპარატები. ბილეთის ფასია 30 კაპ. დასაწყისი 10 ს. საზეიმო გახსნა — 28-ში, 12 ს.

**ფეხბურთი.** ქალაქის სპორტკავშირის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). **27-29 აგვისტო. სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის II ჯგუფის ვაჟთა გუნდებს შორის** (I წრის III ტური). დასაწყისი 16 ს.

**ველოსპორტი (ტრეკი).** ველოსტადიონი (კამოს ქ. № 89). **27-28 აგვისტო. საერთაშორისო შეხვედრა საქართველო (ნაკრები) — რუმინეთი (ნაკრები).** დასაწყისი 19 ს.